საძსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი. ბელიაშვილის ქუჩაზე რესტორანი ბაბილოს ტექნიკური მდგომარეობის შეფასაება მისი შემდგომი რეკონსტრუქციის მიზნით

დავალების თანახმად საჭიროა, შესრულდეს ქ. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, რესტორან ბაბილოს შენობის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება, მისი რეკონსტრუქციის შესაძლებლობის დადგენის მიზნით.

ტექნიკური მდგომარეობის კვლევა წარმოებდა "საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროს" მიერ 1992 წელს გამოცემული – "საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქციისა" და СП-13-102-2003-ის "შენობებისა და ნაგებობების მზიდი სამშენებლო კონსტრუქციების გამოკვლევის წესები"-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გამოყენებული მასალები:

1. ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩაზე, რესტორან ბაბილოს არსებული შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
2. ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩაზე, რესტორან ბაბილოს არსებული შენობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
3. ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩაზე, რესტორან ბაბილოს რკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
4. საკადასტრო გეგმა;

I. შენობის გეომეტრიული ზომების და სამშენებლო უბნის მახასიათებლების დადგენა

ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე რესტორან ბაბილოს შენობა ორსართულიანია და გააჩნია სარდაფი. შენობის საერთო ხედი მოცემულია სურ.1-ზე



სურ.1. შენობის საერთო ხედი

არსებული ნაგებობის საპროექტო დოკუმენტაცია შესრულებულია შ.პ.ს. "გიორგაძე გიორგაძე და კომპანია"-ს მიერ, დირექტორი თ .გიორგაძე, მთ. არქიტექტორი თ .გიორგაძე, მთ. კონსტრუქტორი რ. მახვილაძე.

რეკონსტრუქციის პროექტის არქიტექტურული პროექტი შესრულებულია შ.პ.ს " " მიერ. დირექტორი ა. ჩხაიძე , მთ. არქიტექტორი ა. ჩხაიძე

სამშენებლო უბანი, სადაც განლაგებულია ნაგებობა ხასიათდება შემდეგი

მახასიათებლებით:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ2

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2

საკვლევი ნაგებობა გეგმაში რთული მოხაზულობისაა, ღერძებში მაქსიმალური ზომებით 18 X 72 მ. წართულის სიმაღლე h= 3.50 მ. შენობის კონსტრუქციულ სქემა გადაწყვეტილია შერეულ კარკასში, სარ აფისა და პირველი სართულის როგორც სვეტები ისე რიგელები ლითონისაა, გადახურვები მონოლითური რკინაბეტონის (იხ.სურ.2), მეორე სართულის სვეტების ნაწილი ლითონის, ნაწილი რკინაბეტონის, რიგელები და გადახურვები კი მონოლითური რკინაბეტონის.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, საძირკვლების დაფუძნება ხდება გამოფიტულ ძირითად ქანებზე, რომლის საანგარიშო წინაღობა R0= 500 კპა.

რკონსტრუქცია ითვალისწინებს სახურავისა და მეორე სართულის იატაკის მოხსნას და მათ ნაცვლად ახალის მოწყობას. ახალი II სართულის არსებულთან შედარებით აწეულია 80 სმ-ით, ხოლო სახურავი ეწყობა ლითონის 18 მ სიგრძი წამწეებით.

II. შენობის ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა.

საკვლევი შენობა შესრულებულია შერეულ კარკასში.

1. საძირკვლები წერტილოვანია მონოლითური რკინაბეტონისაგან
2. სარდაფის კედლები მონოლითური რკინაბეტონის
3. სვეტები ნაწილობრივ ლითონის, ნაწილობრივ რკინაბეტონის
4. რიგელები ნაწილობრივ ლითონის, ნაწილობრივ რკინაბეტონის
5. გადახურვები მონოლითური რკინაბეტონის
6. კიბეები ანაკრეფი რკინაბეტონის.
7. სახურავი - ბრტყელი, მონლითური

ვიზუალური დათვალიერებით ნაგებობაში ბზარები და თვალით შესამჩნევი დეფორმაციები არ შეინიშნება. ჩვენს მიერ ჩატარდა ბეტონის სიმტკიცის განსაზღვრა სარდაფის კედლებსა და I სართულის

გადახურვაში (იხ. სურ.3), ბეტონის მარკა 200-ის საზღვრებშია. შენობის საერთო ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.



სურ.2. შენობის ძირითადი მზიდი ელემენტების ხედი
(ლითონის რიგელები და მონოლითური რკინაბეტონის გადახურვა)



სურ.3. ბეტონის მარკის განსაზღვრა სარდაფის
კედლებში



სურ4. დარბაზის გადახურვა

წარმოდგენილი არქიტექტურული ნახაზები ითვალისწინებს II სართულის გადახურვისა და მონოლითური რკინაბეტონის სახურავის დემონტაჟს. მათ ნაცვლად ეწყობა ახალი II სართული, რომელიც არსებულთან შედარებით აიწევა 80 სმ-ით, ხოლო დენონტირებული მონოლითური რკინაბეტონის სახურავის ნაცვლად ეწყობა სახურავი ლითონის წამწეებზე, რომელიც არსებულ გადახურვასთან შედარებით უფრო მსუბუქი იქნება. რეკონსტრუქციის მიხედვით ხდება ასევე შენობის ფართის გაზრდა, მისი რთული მოხაზულობის, მართკუთხა მოხაზულობამდე მიყვანის შესაბამისად

დასკვნა

ჩატარებული კვლევების საფუძველზე შესაძლებელია დავადგინოთ:

ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქუჩაზე, რესტორანი ბაბილოს ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და შესაძლებელია მისი რეკონსტრუქცია წარმოდგენილი არქიტექტურული ნახაზების მიხედვით. ამ მიზნით საჭიროა დამუშავდეს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი ქვეყანაში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად, რომელშიც გათვალისწინებული იქნება.

1. არსებულ საძირკვლებზე მოსული დატვირთვები
2. ნაგებობა გაანგარიშებული იქნას 8 ბალიან სეისმიურ ზემოქმედებაზე
3. განხორციელდეს ხისა და ლითონის კონსტრუქციების ანტისეპტიკური და ანტიკოროზიული დაცვა

კონსტრუქტორი ლ.ზამბახიძე